დანართი N1

პროექტის „ფიზიკური რეაბილიტაცია საქართველოში“

ხელშემწყობი მმართველი საბჭოს შემადგენლობა

1. თამილა ბარკალაია - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე, მმართველი საბჭოს თავმჯდომარე;

2. ნინო ოდიშარია - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) სოციალური დაცვის დეპარტამენტის უფროსი, მმართველი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

3. ლევან გოგიძე - სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) დირექტორის მოადგილე, მმართველი საბჭოს წევრი;

4. ნინო ჯინჯოლავა - სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტის სოციალურ საკითხთა და პროგრამების სამმართველოს უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებელი, მმართველი საბჭოს წევრი;

5. ქეთევან გოგინაშვილი - სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის პოლიტიკის სამმართველოს უფროსი, მმართველი საბჭოს წევრი;

6. არჩილ უნდილაშვილი - ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის საგანმანათლებლო პროგრამების დირექტორი, "ფიზიკური რეაბილიტაცია საქართველოში" პროექტის ხელმძღვანელი, მმართველი საბჭოს წევრი;

7. ნინო ზარდიაშვილი -კორპორაცია "პარტნიორები საერთაშორისო განვითარებისათვის"

საქართველოს წარმომადგენლობის დირექტორი, მმართველი საბჭოს წევრი;

8. თამარ სირბილაძე - აშშ საერთაშორისო განვითარების საგენტოს USAID-ის წარმომადგენელი, მმართველი საბჭოს წევრი;

9. მედეა კაკაჩია - აშშ საერთაშორისო განვითარების საგენტოს USAID-ის წარმომადგენელი, მმართველი საბჭოს წევრი;

10. ქეთევან მელიქაძე - UNICEF –ის წარმომადგენელი, მმართველი საბჭოს წევრი;

11. ზურაბ თენეიშვილი -აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე, მმართველი საბჭოს წევრი;

12. თამარ ჟღენტი - საქართველოს მეცნიერების, განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, მმართველი საბჭოს წევრი;

13. რატი იონათამიშვილი - საქართველოს პარლამენტის წევრი, მმართველი საბჭოს წევრი;

14.სალომე ნატროშვილი - საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამართალშემოქმედების დეპარტამენტის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, მმართველი საბჭოს წევრი;

15. ზურაბ ორჯონიკიძე - თსსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, პროფესორი, მმართველი საბჭოს წევრი;

16. გიგა სოფრომაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს აღმასრულებელი მდივანი, მმართველი საბჭოს წევრი;

17. მარინე რუხაძე - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პოლიტიკის განყოფილების უფროსი, მმართველი საბჭოს წევრი.

დანართი N2

პროექტის „ფიზიკური რეაბილიტაცია საქართველოში“

ხელშემწყობი მმართველი საბჭოს საქმიანობის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. პროექტის ,,ფიზიკური რეაბილიტაცია საქართველოში“ ხელშემწყობი მმართველი საბჭო (შემდგომში - მმართველი საბჭო) შექმნილია ამავე პროექტის ხანგრძლივობის ვადით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ამ ბრძანების საფუძველზე.

2. მმართველი საბჭოს საქმიანობის მიზანია საქართველოში ფიზიკური რეაბილიტაციის მიმართულების გაძლიერების, სპეციალისტების გადამზადების, მომსახურების გაუმჯობესების, შშმ პირებისათვის რეაბილიტაციის სერვისის საჭიროებების განსაზღვრის, მათთვის დამხმარე და ტექნოლოგიური საშუალებების ხელმისაწვდომობისა და სხვა ღონისძიებების ხელშეწყობა.

მუხლი 2. მმართველი საბჭოს საქმიანობა და გადაწყვეტილების მიღების წესი:

1. მმართველი საბჭოს შემადგენლობაში შედიან მმართველი საბჭოს თავმჯდომარე, მმართველი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და მმართველი საბჭოს წევრები.

2. მმართველ საბჭოს თავმჯდომარეობს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე.

3. მმართველი საბჭოს თავმჯდომარე წარმართავს მმართველი საბჭოს საქმიანობას. მისი არყოფნის შემთხვევაში, მმართველი საბჭოს ხელმძღვანელობს თავმჯდომარის მოადგილე, ხოლო ამ უკანასკნელის არ ყოფნის შემთხვევაში - მმართველი საბჭოს ერთ-ერთი წევრი, წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით.

4. მმართველი საბჭოს თავმჯდომარე იწვევს და წარმართავს მმართველი საბჭოს სხდომებს, უძღვება მმართველი საბჭოს საქმიანობას, განსაზღვრავს მმართველი საბჭოს სამოქმედო გეგმას, სამუშაო განრიგს, საქმიანობის პრიორიტეტებს, მმართველ საბჭოსა და მმართველი საბჭოს წევრების ამოცანებს. ამასთანავე, უფლებამოსილია, საჭიროების მიხედვით, მმართველი საბჭოს სხდომაზე მოიწვიოს შესაბამისი დარგის სფეროში მომუშავე ექსპერტები, სპეციალისტები და კომპეტენტური პირები.

5. მმართველი საბჭო დღის წესრიგის შესაბამისად, ეცნობა, განიხილავს, გამოთქვამს შენიშვნებსა და გასცემს რეკომენდაციებს პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებების, ახალი მეთოდებისა და მიდგომების მხარდასაჭერად.

მუხლი 3. მმართველი საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციული და ტექნიკური უზრუნველყოფა:

1. მმართველი საბჭოს წევრთაგან მმართველი საბჭოს სხდომის მდივანს ნიშნავს . მმართველი საბჭოს თავმჯდომარე.

2. მმართველი საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციულ/ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტი, ანალიტიკურ უზრუნველყოფას - ემორის უნივერსიტეტი.

3. მმართველი საბჭოს სხდომის მდივანი უზრუნველყოფს მმართველი საბჭოს სხდომების ჩატარებას, საქმის წარმოებას, ხელს აწერს სხდომის ოქმებს, ასრულებს მმართველი საბჭოს თავმჯდომარის დავალებებს.

მუხლი 4. მმართველი საბჭოს უფლებამოსილების შეწყვეტა:

1. მმართველი საბჭოს უფლებამოსილება უწყდება პროექტის დასრულებისთანავე.

2. მმართველი საბჭოს შემადგენლობასა და საქმიანობის წესში ცვლილებების შეტანა ხდება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით.